

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2014

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ცნობარი
აბიტურიენტებისათვის

www.naec.ge

2 47 33 33

ძვირფასო აბიტურიენტებო!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადებასა და ჩატარებას, გთავაზობთ თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას 2014 წლის გამოცდების შესახებ.

2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლეა გათვალისწინებული:

- **უცხოური ენის გამოცდაში ტესტს დაემატა მოსმენის დავალება.** მოსმენის დავალება შედგება 4 დიალოგისა და 4 ტექსტისაგან. თითოეულ საკითხს ახლავს მხოლოდ ერთი შეკითხვა. მოსმენის დავალების მთლიანი ხანგრძლივობა დაახლოებით 8-10 წუთია. მოსმენის დროს აბიტურიენტებს არ დასჭირდებათ ყურსასმენები. სექტორში 15-ვე აბიტურიენტი შეასრულებს ერთსა და იმავე დავალებას, რომელსაც ხმის გამამძლიერებლის საშუალებით მოისმენს. ამ დავალების მაქსიმალური შეფასებაა 8 ქულა.

შესაბამისად, გაიზარდა უცხოური ენის საგამოცდო დრო. ტესტის შესასრულებლად აბიტურიენტებს ეძლევათ 2 საათი და 30 წუთი.

ასევე, ამავე ტესტში აღარ არის 2- ქულიანი საკითხები. ყველა დავალება, წერის დავალებების გარდა, არის 1-ქულიანი. ტესტის მაქსიმალური ქულაა 100.

უცხოური ენის ტესტს დაემატა წერიტი დავალება. აბიტურიენტს მოეთხოვება წაიკითხოს წერილი ან განცხადება და პასუხად მოკლე წერილი დაწეროს.

ინგლისური ენის ტესტში მოხდა ცვლილება. მე-3 დავალება (სათაურების მისადაგება) განახლებული ფორმით არის წარმოდგენილი; აბიტურიენტს მოეთხოვება წაიკითხოს ტექსტი, კითხვები და მიუთითოს ტექსტის ის აბზაცი, რომელშიც ამ კითხვებზე პასუხია მოცემული.

- 2014 წლიდან არჩევით საგნებს ემატება **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება**. თუ უმაღლესი სასწავლებელი ხელოვნების ამ გამოცდას რომელიმე პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოდ გამოაცხადებს (მხოლოდ ერთ არჩევით გამოცდას მიუთითებს), აბიტურიენტი ვალდებულია არჩევით საგნად მიუთითოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.
- გამოცდის მაქსიმალური დროა 3 საათი და 30 წუთი, ტესტის მაქსიმალური ქულაა 70, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადასალახად აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 18 ქულა (25%-ზე მეტი).

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზღვრის გადალახვის ახალი მიდგომის პროექტი შემუშავდა:
 - აბიტურიენტთა გამოვლენა, რომელთაც ზღვარი გადალახეს, სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების გათანაბრების შემდეგ მოხდება. ამ ცვლილების შედეგად, გარდა იმ აბიტურიენტებისა, რომელთა მიერ მიღებული ნედლი ქულაც ზღვარს აღემატება, ზღვრის გადალახვის შანსს შეინარჩუნებენ ის აბიტურიენტებიც, რომლებიც შედარებით რთულ ვარიანტს შეასრულებენ და ზღვართან მიახლოებულ ნედლ ქულას მიიღებენ.
 - ტესტში, რომელიც მხოლოდ არჩევითი პასუხების მქონე დავალებებისაგან შედგება (მაგ., ზოგადი უნარები), მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ისე განისაზღვრება, რომ სწორი პასუხების შემთხვევითი გამოცნობით ზღვრის გადალახვის ალბათობა მინიმუმამდე დავიდეს.
- ზოგადი უნარების გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა 20 ქულიდან 23 ქულამდე - წინა წლებში კონკურსში მონაწილეობის გასაგრძელებლად აბიტურიენტს 21 ქულა მაინც უნდა მიეღო ზოგად უნარებში, 2014 წლიდან კი მან უნდა მიიღოს მინიმუმ 24 ან მასთან გათანაბრებული ქულა.
- სახელმწიფო წელსაც დააფინანსებს ბაკალავრიატის გარკვეულ მიმართულებებს (შესაბამის პროგრამებზე ჩარიცხულები ისწავლიან უფასოდ). სასწავლებლების და მიმართულებების (პროგრამების) ნუსხა გამოქვეყნდება დამტკიცებისთანავე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (www.mes.gov.ge) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (www.naec.ge) ვებგვერდებზე.

რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

სად და როდის გაივლიან აბიტურიენტები რეგისტრაციას?


2014 წელს აბიტურიენტები რეგისტრაციას მხოლოდ ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლიან (www.naec.ge; online.naec.ge);

ინტერნეტით რეგისტრაცია:

ინტერნეტით რეგისტრაციისათვის აბიტურიენტს უნდა ჰქონდეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი, აგრეთვე მან უნდა გადაიხადოს გამოცდებში მონაწილეობის საფასური (გადახდის ფორმები აღწერილია ქვემოთ).

1. აბიტურიენტს უნდა ჰქონდეს (ან უნდა შექმნას) ელექტრონული ფოსტის მისამართი.
2. ინტერნეტით რეგისტრაციას აბიტურიენტი (როგორც სკოლის მოსწავლე, ისე სკოლადაამთავრებული და ექსტერნი) გადის ვებგვერდზე www.naec.ge ან online.naec.ge.

3. მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ აბიტურიენტი სპეციალურ ველში უთითებს ელექტრონულ ფოსტას, რომელზეც მიიღებს პაროლს, მომხმარებლის სახელით (ელ ფოსტის მისამართი) და მიღებული პაროლით აბიტურიენტი შედის რეგისტრაციის პროგრამაში.



ერთიანი ეროვნული გამოცდები

რეგისტრაციისას პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში
დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: (32) 2473333, ან
მოგვწერეთ: onlineregistration@naec.ge



სისტემაში შესასვლელი პაროლის მისაღებად გამოიყენეთ ეს
გამოცდები...

სისტემაში შესვლა

მომხმარებლის სახელი

პაროლი

სპირ

განახლება

აკრიფეთ სიმბოლოები

[თუ თქვენ არ გახსოვთ თქვენი პაროლი...](#)

4. აბიტურიენტი სპეციალურ ველში უთითებს 11 ნიშნა პირად ნომერს და მოქალაქეობას. თუ აპლიკანტი არ არის საქართველოს მოქალაქე, დამატებით ავსებს სპეციალურ ველებს. თუ აბიტურიენტი საქართველოს მოქალაქეა, პროგრამას ავტომატურად გამოაქვს ეკრანზე საჯარო რეესტრში არსებული მონაცემები, რის შემდეგაც აპლიკანტს შეუძლია შეავსოს შესაბამისი ველები და აირჩიოს ჩასაბარებელი გამოცდები.
5. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გადახდის შესახებ (თუ გადახდა არ დადასტურდა, აბიტურიენტი ეკრანზე ხედავს შესაბამის შეტყობინებას).
6. აბიტურიენტმა უნდა შეავსოს შემდეგი ველები: მოსწავლის სტატუსი, სად გინდათ მიიღოთ საგამოცდო ბარათი (თუ აბიტურიენტს დამთავრებული აქვს სკოლა), საგამოცდო ქალაქი, საკონტაქტო ტელეფონი და მშობლიური ენა.
7. აბიტურიენტმა უნდა მონიშნოს იმდენი გამოცდა, რამდენის ჩაბარების საფასურიც აქვს გადახდილი. გამოცდის არჩევისას აბიტურიენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს გამოცდის ენას (მაგ.: ისტორია რუსულად ან გეოგრაფია ქართულად).
8. გამოცდების მონიშვნის შემდეგ აბიტურიენტმა უნდა შეადგინოს სასწავლო პროგრამების რეიტინგული ჩამონათვალი (სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებამდე). ჩამონათვალის შედგენისას აბიტურიენტი უთითებს მხოლოდ პროგრამის კოდს, ხოლო უმაღლეს სასწავლებელსა და პროგრამის დასახელებას სისტემა თავად ჩაწერს შესაბამის ველებში.

ერთიანი ეროვნული გამოცდები

პირადი ინფორმაცია

სახელი, გვარი: _____

დაბადების თარიღი: _____

მოსწავლის სტატუსი: **ვსწავლობ**

საკონტაქტო ტელეფონი: _____

სად გიზდით მიიღოთ პლასტიკურ (საგამოცდო) ბარათს მიიღებთ თქვენს სკოლაში

მშობლიური ენა: **ქართული ენა**

საგამოცდო ქალაქი: **ქ. ბათუმი**

სპეციალური პირობები: **არა**

ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალი

ქართული ენა და ლიტ.	დამატება
ზოგადი უმარესი (ქართ.)	წაშლა
რუსული ენა	
მათემატიკა (ქართ.)	
ისტორია (ქართ.)	

პროგრამების პრიორიტეტული ჩამონათვალი

პრიორიტეტი	პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	უმაღლესი სასწავლებელი
1	0030704	საერთაშორისო ურთიერთობები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2	0030304	ვეთლოგია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
3	0100202	საბანკო და საფინანსო საქმე, სპორტის მენეჯმენტი) (მხოლოდ ძირითადი სპეციალობები)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შენახვა

- აუცილებელი ველების შევსებისა და ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალის მითითების შემდეგ აბიტურიენტი ელექტრონული ფოსტით მიიღებს შეტყობინებას, რომ მან წარმატებით გაიარა რეგისტრაცია, ასევე მის მიერ არჩეული პროგრამების ჩამონათვალს.
- აბიტურიენტს არ სჭირდება ფოტოსურათის გადაღება და ატვირთვა. საგამოცდო ბარათის დამზადებისას სისტემა სამოქალაქო რეესტრის ბაზაში არსებულ ფოტოს გამოიყენებს.

2014 წელსაც აბიტურიენტების მიერ არჩეული პროგრამების რაოდენობა არ იქნება შეზღუდული, აბიტურიენტს შეუძლია არაერთხელ შეცვალოს საკუთარი არჩევანი (პროგრამების პრიორიტეტული ჩამონათვალი) სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებამდე - იგი თავისი ელფოსტის მისამართისა და პაროლის მითითებით შედის საკუთარ გვერდზე და შეაქვს სასურველი ცვლილებები. აბიტურიენტი ყველა ცვლილების დადასტურებას მიიღებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თუ აბიტურიენტი ელექტრონული ფოსტით ვერ მიიღებს აღნიშნულ დადასტურებას (ვერც „inbox“-ში და ვერც „junk“-ის ან „spam“-ის განყოფილებაში), მას, სავარაუდოდ, არ აქვს დასრულებული ცვლილებების განხორციელება (მაგ., არ დააჭირა შენახვის ღილაკს).

სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ აბიტურიენტი პროგრამების პრიორიტეტულ ჩამონათვალს ვეღარ შეცვლის!

დამატებითი ინსტრუქციები განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.naec.ge.

გადახდის შესაძლო საშუალებები და საბანკო მომსახურების გადასახადი:

- 1) საქართველოს ბანკის სერვის ცენტრები - 0,5 ლარი;
- 2) ვებგვერდზე ipay.ge - 1 ლარი;
- 3) „აიფეის“ აგენტების ქსელში (საჯარო რეესტრის სააგენტოებში) - 0.5 ლარი;
- 4) „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით - 1 ლარი;
- 5) საქართველოს ბანკის ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით - ibank.ge - 1 ლარი.

გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აბიტურიენტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) სერია და ნომერი. ერთი საგნის გამოცდის ჩაბარების საფასურია **10 ლარი**. საფასურის გადახდა შეუძლია როგორც აბიტურიენტს, ისე სხვა პირს, რომელიც გადახდისას მიუთითებს აბიტურიენტის შესაბამის მონაცემებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფასურის ზედმეტად ან შეცდომით გადახდის შემთხვევაში, აბიტურიენტს რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში უფლება აქვს შეავსოს თანხის დაბრუნების შესახებ ცენტრის მიერ დადგენილი განაცხადის ფორმა (საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში). ცენტრის მიერ თანხები გაიცემა განაცხადის მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა. განაცხადის ფორმა და დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.naec.ge.

აბიტურიენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 20 თებერვალიდან 21 მარტის ჩათვლით.

ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია აღნიშნულ ვადებში უნდა გაიარონ. სარეგისტრაციო ვადის ამოწურვის შემდეგ აბიტურიენტები ვეღარ დარეგისტრირდებიან.

გაითვალისწინეთ:

- არ გაანდოთ სხვას ელექტრონული ფოსტით მიღებული პაროლი. მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი სარეგისტრაციო ანკეტაში მითითებული მონაცემების სისწორესა და შემდგომ მასში განხორციელებულ ცვლილებებზე;
- შეეცადეთ ხშირად გადაამოწმოთ თქვენი მონაცემები;
- თუ თქვენ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეთ 2011 წლამდე, ვალდებული ხართ 2014 წლის 20 ივნისამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინოთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
- აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს, განათლების აღიარების დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში 10 აგვისტომდე.

2014 წელს შეგიძლიათ განაცხადი გააკეთოთ ერთი და იმავე ან სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

განაცხადის შევსებისას აბიტურიენტმა უნდა გაითვალისწინოს:

- აკრედიტებულია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა (არაკრედიტებული პროგრამა არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ);
- გაზრდილია თუ არა უმაღლესი სასწავლებლის მიერ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
- მიუთითა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამამ სპეციალური მოთხოვნები;
- უმაღლესი სასწავლებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებელი გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტი;*
- საგანთა პრიორიტეტი.**

* კოეფიციენტების მინიჭებით უმაღლესი სასწავლებელი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისათვის მეტად თუ ნაკლებად პრიორიტეტულ საგამოცდო საგნებს (იხ. ჩარიცხვა). საკონკურსო ქულები სწორედ კოეფიციენტების მიხედვით დაითვლება.

** საგანთა პრიორიტეტის გათვალისწინება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი აბიტურიენტი დააგროვებს ერთნაირ საკონკურსო ქულას საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი ადგილების მიჯნაზე.

მაგალითად: კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის 20 ადგილი. ცხადია, უნდა ჩაირიცხოს საუკეთესო შედეგის მქონე 20 აბიტურიენტი, მაგრამ მე-20 პოზიციაზე აღმოჩნდა ორი ზუსტად ერთნაირი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტი. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც უფრო მაღალი შეფასება ექნება პრიორიტეტულ გამოცდაში.

ასევე უნდა გაითვალისწინოთ:

- საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული ადგილების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების საფასური;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა;
- ორი ან მეტი არჩევითი გამოცდის მითითების შემთხვევაში ამ გამოცდებისათვის დაწესებული კვოტები;
- თუ რომელ ქალაქში მიმდინარეობს სწავლა ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;
- რაიმე ფუნქციონალური დარღვევის შემთხვევაში (მოტორული, სმენითი, მხედველობითი და სხვ.) ივსება სპეციალური გრაფა. ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა (ფორმა N100) აბიტურიენტმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს 20 ივნისამდე;
- გამოცდებამდე ან გამოცდების პერიოდში ინფექციური დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ან საგამოცდო ცენტრს გამოცდების დაწყებამდე მაინც, რათა ცენტრმა უზრუნველყოს მათთვის სპეციალური პირობების შექმნა;
- გამოცდებამდე ან გამოცდების პერიოდში აბიტურიენტის დაკავების/დაპატიმრების შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რათა ცენტრმა უზრუნველყოს აბიტურიენტის გამოცდაზე დასაშვებად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

გახსოვდეთ, რომ რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აბიტურიენტს არ აქვს უფლება შეცვალოს განაცხადში მითითებული მონაცემები, პროგრამების ჩამონათვალისა და ტექნიკური მონაცემების გარდა. შესაბამისად, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ თქვენ მიერ მითითებული გამოცდები და გამოცდის ენა, ასევე საგამოცდო ქალაქი აღარ შეიცვლება!

რომელ ქალაქებში გაიხსნება საგამოცდო ცენტრები?

2014 წელს არსებულ საგამოცდო ცენტრებს დაემატება რამდენიმე. საგამოცდო ცენტრები იფუნქციონირებს შემდეგ ქალაქებში:

ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თბილისი, რუსთავი, თელავი, ხულო.

რა შემთხვევაში გაუქმდება აბიტურიენტის განაცხადი?

აბიტურიენტის განაცხადი გაუქმდება, თუ მან:

- დაწერა განცხადება და მოითხოვა განაცხადის გაუქმება (განცხადებას თან უნდა დაერთოს აბიტურიენტის პირადობის მოწმობის ასლი. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ განაცხადის გაუქმების შემთხვევაში გადახდილი თანხა აბიტურიენტს უკან ვეღარ დაუბრუნდება);
- შესაბამის წელს ვერ ჩააბარა სკოლის გამოსაშვები გამოცდები და ვერ მიიღო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი;
- 2014 წლის 20 ივნისამდე არ წარმოადგინა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მიიღო 2011 წლამდე.

აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს, განათლების აღიარების დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 10 აგვისტომდე! წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შედეგები არ იქნება გათვალისწინებული ჩარიცხვებისას!

სავალდებულო და არჩევითი გამოცდები

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მიზნით აბიტურიენტი აბარებს 4 გამოცდას – აქედან 3 სავალდებულო საგანსა (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, ერთ-ერთი უცხოური ენა) და 1 არჩევითს შემდეგი საგნებიდან: ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - იმ საგანს, რომელსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კონკრეტული პროგრამისათვის ითხოვს.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ საგანმანათლებლო პროგრამამ მიუთითა ერთი ან რამდენიმე უცხოური ენა?

- აბიტურიენტი ვალდებულია, ჩააბაროს ის უცხოური ენა, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიერ ორი ან მეტი უცხოური ენის მითითების შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს ერთ-ერთი უცხოური ენის გამოცდა დასახელებულთაგან, რომელსაც თავად აირჩევს;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა უფლებამოსილია, არ აირჩიოს გამოცდა კონკრეტულ უცხოურ ენაში. ამ შემთხვევაში 4 უცხოური ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ერთ-ერთს ირჩევს აბიტურიენტი;
- აბიტურიენტი სარეგისტრაციო განცხადებაში უთითებს მხოლოდ ერთ უცხოურ ენას.

- ✓ რუსულის უცხოურ ენად არჩევის უფლება აქვთ იმ აბიტურიენტებსაც, რომელთა სკოლაში სწავლების ენა იყო რუსული.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ საგანმანათლებლო პროგრამამ მიუთითა ორი ან მეტი არჩევითი საგანი?

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შეუძლია აირჩიოს არა ერთი, არამედ რამდენიმე (ყველა) არჩევითი საგანი და დააწესოს მინიმალური კვოტა თითოეული გამოცდით მისაღები კონტინგენტისათვის. ამ შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს დასახელებულთაგან ერთ-ერთი არჩევითი საგნის გამოცდა, რომელსაც თავად აირჩევს (აბიტურიენტს უფლება აქვს ჩააბაროს ყველა არჩევითი საგნის გამოცდა).

მაგალითად: საგანმანათლებლო პროგრამა აცხადებს, რომ მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობაა 150, ამასთან საგანმანათლებლო პროგრამამ მეოთხე გამოცდად აირჩია ქიმია და ბიოლოგია და განსაზღვრა, რომ 150-დან 120 ადგილზე მიიღებს აბიტურიენტებს, რომლებმაც ჩააბარეს ბიოლოგია, დანარჩენ 30 ადგილზე კი იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც ჩააბარეს ქიმია. აბიტურიენტი ქიმიისა და ბიოლოგიის გამოცდებიდან ირჩევს ერთ-ერთს ან ორივეს სურვილისამებრ.

ვთქვათ, იმ აბიტურიენტთაგან, რომლებმაც ამ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გააკეთეს განაცხადი და მეოთხე გამოცდად ბიოლოგია ჩააბარეს, ჩაირიცხა მხოლოდ 100 აბიტურიენტი. დარჩენილი 20 ადგილი შეივსება იმ აბიტურიენტებით, რომლებიც ამავე საგანმანათლებლო პროგრამაზე აბარებდნენ მეოთხე გამოცდად ქიმიას და თავდაპირველად არ ეყობა ქულები ამ გამოცდისათვის გამოყოფილ ადგილებზე ჩასარიცხად.

შეუძლია თუ არა აბიტურიენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ქართულის გარდა სხვა ენაზე?

- აბიტურიენტს უფლება აქვს მათემატიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოცდა ჩააბაროს რუსულ ენაზე;
- ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- აბიტურიენტს, რომლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლება აღიარებული იქნება, უფლება აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის ნაცვლად ჩააბაროს აფხაზური ენა. ამ შემთხვევაში აბიტურიენტმა განცხადებით უნდა მიმართოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს.

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა, სანამ ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებენ, უნდა გაიარონ შესაბამისი კონკურსი (შემოქმედებითი ან სპორტული ტური, რომლისთვისაც რეგისტრირდებიან უშუალოდ უმაღლეს სასწავლებელში) და ჩააბარონ:

- ა) 3 სავალდებულო გამოცდა* (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა), თუ სასწავლებელმა (საგანმანათლებლო პროგრამამ) მიუთითა მეოთხე, არჩევითი გამოცდა, აბიტურიენტები ამ გამოცდასაც ჩააბარებენ;

**თუ სასწავლებელმა მიუთითა 3 სავალდებულო გამოცდა, მაგრამ აბიტურიენტს სურს ერთიანი ეროვნული გამოცდებით გრანტის მოპოვება, მას შეუძლია ჩააბაროს ნებისმიერი არჩევითი გამოცდა და მონაწილეობა მიიღოს შესაბამის კონკურსში.*

ბ) ზოგადი უნარების გამოცდა სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად (ეს პუნქტი ეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს).
ზემოაღნიშნული კონკურსი (შემოქმედებითი ან სპორტული ტური) ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე. ზუსტი ინფორმაციის მისაღებად აბიტურიენტებმა უნდა მიმართონ შესაბამის სასწავლებლებს (ტურების ჩატარების განრიგი გამოქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე).

აბიტურიენტის ჩარიცხვა სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე არ განიხილება, თუ მას არ ექნება ჩაბარებული შემოქმედებითი ან სპორტული ტური.

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე უნდა გაიარონ შესაბამისი კონკურსი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომლისთვისაც რეგისტრირდებიან უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და აბარებენ:

ა) 3 სავალდებულო გამოცდას (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა) და ერთი-ერთ არჩევით გამოცდას;

ბ) ზოგადი უნარების გამოცდას სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, (აფხაზურენოვანთათვის აფხაზური ენა და ზოგადი უნარები რუსულ ენაზე), ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად (ეს პუნქტი ეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს).

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა რეგისტრაციის გავლის შემდეგ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბარონ მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა. დანარჩენ გამოცდებს აბიტურიენტი აბარებს უშუალოდ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდის - ქართული ენისა და ლიტერატურის ქულის გათვალისწინებით.

აბიტურიენტი მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციისას აღარ უთითებს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარებისა და ზღვრის გადალახვის შემდეგ უშუალოდ მიმართავს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას!

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდებიან ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების პროგრამისათვის განსაზღვრულ ადგილებზე, მოუწევთ ზოგადი უნარების ჩაბარება სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, აფხაზურენოვანმა აბიტურიენტებმა კი უნდა ჩააბარონ აფხაზური ენის გამოცდა და ზოგადი უნარები რუსულ ენაზე. ეს აბიტურიენტები ერთმანეთს გაუწევენ კონკურენციას და ჩარიცხვის შემთხვევაში ისწავლიან 1 წელი (60 კრედიტი) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები, დამატებითი გამოცდების გარეშე, თავიანთი არჩევანის შესაბამისად სწავლას გააგრძელებენ უმაღლესი დაწესებულების ბაკალავრიატის (4 წელი - 240 კრედიტი), დიპლომირებული სტომატოლოგის (5 წელი - 300 კრედიტი) ან დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით (6 წელი - 360 კრედიტი). ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მოპოვებული გრანტი გადადის შემდეგი ეტაპის დასაფინანსებლად.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

- ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების (აფხაზურენოვანთათვის აფხაზური ენა და ზოგადი უნარები რუსულ ენაზე) შედეგების საფუძველზე ჩარიცხვის მსურველები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას საშემსრულებლო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.
- აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად აბიტურიენტებს (საქართველოს მოქალაქეებს) უფლება აქვთ რეიტინგულ ჩამონათვალში მიუთითონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამ შემთხვევაში აბიტურიენტები აბარებენ ამ აკადემიური პროგრამისათვის განსაზღვრულ ყველა გამოცდას.

სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესი

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე? ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს. 2014 წელს გაიცემა 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტი.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი არ გაიცემა:

- იმ პირებზე, რომლებიც არააკრედიტებულ პროგრამებზე ჩაირიცხებიან;
- იმ პირებზე, რომლებსაც სახელმწიფო სასწავლო გრანტი ერთხელ მიღებული აქვთ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის (ქართულ ენაში მომზადების) საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- იმ პირებზე, რომლებმაც დააგროვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისათვის საკმარისი ქულა, მაგრამ ვერ მოიპოვეს 2014 წელს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლება;
- იმ პირებზე, რომლებმაც ვერ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საგამოცდო ბარათში მითითებულ ყველა გამოცდაში (აღნიშნული არ ეხება ქართულ ენაში მომზადების პროგრამას).

აბიტურიენტმა, რომელმაც წინა წლებში მოიპოვა გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ის არ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მიზნით, 1 აგვისტომდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უნდა მომართოს განცხადებით, რომ მას არ გამოუყენებია წინა წლებში მოპოვებული გრანტი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტისათვის გამოყოფილი თანხის წლიური მოცულობის არა უმეტეს 2%-ის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, ან ნაცვალგების პრინციპით.

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების წესი:

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა ყველა გამოცდის (3 სავალდებულო და ერთ-ერთი არჩევითი საგნის) შედეგის მიხედვით. აბიტურიენტმა, რომელიც აბარებს სახელოვნებო პროგრამაზე და სურს სახელმწიფო სასწავლო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება, აუცილებლად უნდა ჩააბაროს მეოთხე გამოცდა (არჩევითი გამოცდების ბლოკიდან ნებისმიერი).

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე საგრანტო (აბსოლუტური) ქულის დადგენის წესი:

სახელმწიფო სასწავლო გრანტისთვის გათვალისწინებული თანხები განაწილდება ერთიანი ეროვნული გამოცდის არჩევით საგნებზე შემდეგი პრინციპის დაცვით:

თანხები იყოფა ორ თანაბარ ნაწილად. თანხის ერთი ნახევარი განაწილდება არჩევითი საგნების შემდეგ ჯგუფზე:

- ა) ლიტერატურა;
- ბ) ისტორია;
- გ) გეოგრაფია;
- დ) ხელოვნება;

ხოლო თანხის მეორე ნახევარი – არჩევითი საგნების შემდეგ ჯგუფზე:

- ე) მათემატიკა;
- ვ) ქიმია;
- ზ) ფიზიკა;
- თ) ბიოლოგია.

თითოეული ჯგუფისათვის გამოყოფილი თანხის 4 % თანაბრად გადანაწილდება შესაბამისი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო 96 %გადანაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ყოველი არჩევითი საგნისათვის მოთხოვნილი ადგილების რაოდენობის პროპორციულად.

განაწილების შედეგად მიღებული თანხების 25% დაეთმობა სრულ (100%-იან) საგრანტო დაფინანსებას, 25% დაეთმობა 70%-იან საგრანტო დაფინანსებას, ხოლო დარჩენილი თანხა – 50%-იან საგრანტო დაფინანსებას.

ყველა საგამოცდო საგანს აქვს თავისი წონა (ზოგადი უნარების გამოცდას - 1.5, ხოლო ყველა სხვა საგამოცდო საგანს - 1). თითოეულ გამოცდაში მოპოვებული სკალირებული ქულა მრავლდება შესაბამის წონაზე და მიღებული ქულები ჯამდება.

მაგალითად: თუ აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 169,1, ზოგად უნარებში - 165,7, უცხოურ ენაში - 164,8 და მათემატიკაში - 164,0 ქულა, მისი საგრანტო (აბსოლუტური) ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: $169,1 + 165,7 \times 1,5 + 164,8 + 164,0 = 746,45$. მიღებული ჯამი მრავლდება 10-ზე, ანუ აბსოლუტური საგრანტო ქულა იქნება $746,45 \times 10 = 7464,5$.

სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტისათვის გამოყოფილი თანხის წლიური მოცულობა განაწილდება შემდეგი პრინციპით:

სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა მოხდება არა ერთიანი რეიტინგული სიის მიხედვით, არამედ ყოველი არჩევითი საგნისათვის (ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ხელოვნება) შედგება საგრანტო (აბსოლუტურ) ქულაზე დაფუძნებული რეიტინგული სია და კონკრეტული არჩევითი საგნისათვის გამოყოფილი თანხა ამ რეიტინგული სიის მიხედვით განაწილდება. **მაგალითად:** სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით ერთმანეთს კონკურენციას გაუწევს ყველა ის აბიტურიენტი, რომელმაც ჩააბარა მათემატიკა, ზუსტად ასევე ერთმანეთს შეეჯიბრებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს ქიმია, ან ლიტერატურა და ა. შ.

თუ აბიტურიენტი ჩააბარებს რამდენიმე არჩევით საგანს, ის სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებს სავალდებულო საგნის გამოცდებისა და იმ არჩევითი საგნის გამოცდის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქულების საფუძველზე, რომლითაც ის მიიღებს სწავლის გაგრძელების უფლებას კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თუ აბიტურიენტი ჩააბარებს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მოთხოვნილ ორ ან მეტ არჩევით გამოცდას, ის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობას მიიღებს იმ არჩევით

გამოცდაში მოპოვებული ქულით, რომლითაც მეტ დაფინანსებას მოიპოვებს, მიუხედავად იმისა, რომელი გამოცდის შედეგით მოხდება ჩარიცხვა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე (თითოეული საგნისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით).

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე?

სახელმწიფო დაფინანსება (100%-ის ოდენობით), სპეციალურად ამ პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ზოგადი უნარების გამოცდის შედეგის საფუძველზე გაიცემა. რეიტინგული სია, გამოცდის ენის მიხედვით, ზოგადი უნარების შედეგის საფუძველზე შედგება (მაგ.: მათთვის, ვინც გამოცდა სომხურ ენაზე ჩააბარა, შედგება ცალკე რეიტინგული სია. ანალოგიურად შედგება სია მათთვის, ვინც გამოცდა აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარა).

საგამოცდო პროცესი

სად მიიღებენ აბიტურიენტები საგამოცდო ბარათებს?

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები საგამოცდო ბარათებს უშუალოდ სკოლებში მიიღებენ, სკოლადამთავრებული აბიტურიენტები კი რეგისტრაციისას თავად აირჩევენ ბარათის მიღების ადგილს შესაბამისი ჩამონათვალიდან. ბარათზე მითითებული იქნება საგამოცდო ცენტრი, თითოეული გამოცდის თარიღი და რეგისტრაციის დაწყების დრო. საგამოცდო ბარათი პირადობის მოწმობასთან ერთად იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

სად და როდის გაივლიან აბიტურიენტები სახელოვნებო და სასპორტო ტურებს, აგრეთვე სამხედრო უმაღლესი სასწავლებლის მიერ დადგენილ კონკურსს?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ჩაატარებენ სპეციალურ შემოქმედებით და სასპორტო ტურებს (კონკურსს) და შესაბამისი ქულებით შეაფასებენ აბიტურიენტებს. ტურებისა და კონკურსის სახელწოდებებსა და ინფორმაციას მათი ჩატარების ვადებისა და პროცედურების შესახებ გამოაქვეყნებენ თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზედაც.

რა უნდა იქონიოს თან აბიტურიენტმა გამოცდაზე გამოცხადებისას?

- საგამოცდო ბარათი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

როგორ მიმდინარეობს საგამოცდო პროცესი?

აბიტურიენტი ცხადდება ბარათზე მითითებულ საგამოცდო ცენტრში, მითითებულ დროს. რეგისტრაციის გავლის შემდეგ იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს შესაბამის სექტორში. მუშაობის დაწყებამდე აბიტურიენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ტესტი არ არის დაზიანებული, არ აკლია გვერდები და გარკვევით იკითხება. ტესტთან ერთად აბიტურიენტი მიიღებს პასუხების ფურცელს. ანონიმურობის უზრუნველსაყოფად მასზე დაიკვრება ინდივიდუალური შტრიხკოდი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მათი დაკეცვა ან დაჭიმუჭვნა,

რაიმე ჩანაწერის გაკეთება (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს). **სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!** დაუზიანებელი ტესტისა და პასუხების ფურცლის მიღებას აბიტურიენტები დაადასტურებენ სექტორის უწყისში ხელმოწერით; გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, ინსტრუქციას, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა; ყველა საგამოცდო სექტორში დამონტაჟებული იქნება ვიდეოკამერა, ჩაიწერება მთელი საგამოცდო პროცესი და შეიქმნება ვიდეოარქივი; საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში კურატორი ამოწმებს აბიტურიენტის ტესტის რვეულის, პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც აბიტურიენტი ადასტურებს უწყისში ხელმოწერით და ამის შემდეგ კურატორს აბარებს ნამუშევარს; საგამოცდო პროცესი ამით სრულდება. პასუხების ფურცლები ბოლო აბიტურიენტის თანდასწრებით ილუქება და იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ მიაჩნია, რომ გამოცდის მიმდინარეობისას მის მიმართ დაირღვა დადგენილი წესები ან პროცედურები?

ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა გამოცდის დღის 21:00 საათამდე განცხადებით უნდა მიმართოს (პროცედურული აპელაცია) იმ საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციას, სადაც ჩააბარა გამოცდა. განცხადება საპრეტენზიო კომისიას გადაეცემა 24 საათის განმავლობაში და განიხილება ხუთი დღის ვადაში. პასუხს განმცხადებელი ოთხი დღის ვადაში შეიტყობს.

პირველადი შედეგების გამოცხადება

რა შემთხვევაში არ სწორდება ნაშრომი?

ნაშრომი არ სწორდება, თუ:

- აბიტურიენტი პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს! ან დაახატავს რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;
- შტრიხკოდი გაფერადებულია ან დაზიანებულია;
- პასუხების ფურცელი შეივსება არა სექტორში დარიგებული, არამედ განსხვავებული კალმით;
- დაარღვევს გამოცდაზე ქვევის რომელიმე წესს და მოიხსნება გამოცდიდან;
- აბიტურიენტი არ გადაწერს ტესტის პასუხების ფურცელზე მითითებულ სტანდარტულ ფრაზას;
- თუ საპრეტენზიო კომისიის მიერ დადგინდება, რომ აბიტურიენტმა დაარღვია გამოცდის პროცედურა.

სად და როგორ შეიტყობენ აბიტურიენტები პირველად შედეგებს?

გასწორების პროცესის დასრულების შემდგომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები - აბიტურიენტების მიერ თითოეულ გამოცდაში მიღებული ნედლი ქულა. ყველა აბიტურიენტს ექნება შესაძლებლობა, ნახოს პასუხების ფურცლები, რომლებიც განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. აბიტურიენტი სპეციალური სამიებო სისტემის მეშვეობით, საკუთარი სახელის, გვარის, საიდენტიფიკაციო და პირადი ნომრის მითითებით, შეძლებს იხილოს და ამობეჭდოს პასუხების ფურცლის ასლი სასურველ საგანში.

აბიტურიენტები საკუთარ შედეგებს მოკლე ტექსტური შეტყობინებებითაც მიიღებენ – ამისათვის მათ საიდენტიფიკაციო კოდი უნდა გაგზავნონ ნომერზე 93333 (შედეგის მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღების საფასურია 50 თეთრი).

აპელაცია

როგორ ხდება საპრეტენზიო განაცხადების შეტანა?

თუ აბიტურიენტი მიღებული ქულებით უკმაყოფილოა, მას შეუძლია გააპროტესტოს ცალკეულ საგამოცდო საგანში მიღებული შეფასება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. ამ შემთხვევაში მან უნდა შეავსოს საპრეტენზიო განაცხადი. განაცხადის შევსების უფლება აქვს მხოლოდ აბიტურიენტს. სააპელაციო განაცხადის ინტერნეტით შევსებისათვის საჭირო პროცედურები აღწერილი იქნება შემდეგ ვებგვერდებზე: www.naec.ge ; online.naec.ge.

საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასური განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით (ერთი საგნისთვის).

გადახდის შესაძლო საშუალებები და საბანკო მომსახურების გადასახადი:

- 1) საქართველოს ბანკის სერვის ცენტრები - 0,5 ლარი;
- 2) ვებგვერდზე ipay.ge - 1 ლარი;
- 3) „აიფის“ აგენტების ქსელში (საჯარო რეესტრის სააგენტოებში) - 0.5 ლარი;
- 4) „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით - 1 ლარი;
- 5) საქართველოს ბანკის ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით - ibank.ge - 1 ლარი.

გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აბიტურიენტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) სერია და ნომერი.

განაცხადში მითითებული უნდა იყოს იმ დავალებების ნომრები, რომელთა შეფასებასაც აბიტურიენტი არ ეთანხმება. თუ განაცხადში არ იქნება მითითებული დავალებების ნომრები, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, მთლიანად გადახედოს ნაშრომს. გასწორებისას შემოწმდება მთლიანად დავალება და არა დავალების თითოეული კრიტერიუმი (ქვედავალება).

საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს საპრეტენზიო განაცხადის მიღებიდან 20 დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. იმ შემთხვევაში, თუ აპელაციის შედეგად შეიცვლება ნამუშევრის შეფასება, ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში აბიტურიენტმა უნდა შეავსოს თანხის დაბრუნების მოთხოვნის განაცხადი შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც შეიტყობთ თანხის მიღების დროსა და ადგილს.

ჩარიცხვები

- გახსოვდეთ: კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტმა კომპეტენციის მინიმალური ზღვარი უნდა გადალახოს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მითითებულ ყველა საგანში (გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლებმაც დააწესეს უფრო მაღალი ზღვარი). მიღებული ქულების გათანაბრების

შემდეგ ზღვრის გადალახვის შანსს ინარჩუნებენ ის აბიტურიენტებიც, რომლებმაც შედარებით რთული ვარიანტი, მაგრამ ზღვართან მიახლოებული ქულა მიიღეს.

როგორ გამოიანგარიშება საკონკურსო ქულა თითოეულ აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე?

საკონკურსო ქულის (რომლის მიხედვითაც ხდება ჩარიცხვა) გამოანგარიშება ხდება შემდეგნაირად: თითოეული გამოცდის სკალირებული ქულა გამრავლდება საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მინიჭებულ კოეფიციენტებზე და შედეგები შეჯამდება.

მაგალითად: აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 151,6; ზოგად უნარებში – 148,3, უცხოურ ენაში – 145,6, მათემატიკაში – 154,0. ამ გამოცდების კოეფიციენტები ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისად არის 4; 3; 3; 2. ჯამური საკონკურსო ქულა იქნება $151,6 \times 4 + 148,3 \times 3 + 145,6 \times 3 + 154,0 \times 2 = 606,4 + 444,9 + 436,8 + 308,0 = 1796,1$. სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის, თუ მას განსხვავებული კოეფიციენტები აქვს მინიჭებული ამ გამოცდებისათვის, ანალოგიური წესით გამოთვლილი ჯამური საკონკურსო ქულა განსხვავებული იქნება. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საკონკურსო ქულის გამოთვლისას უნდა გამოიყენოთ მხოლოდ იმ გამოცდების შედეგები, რომლებიც მითითებული აქვს ამ საგანმანათლებლო პროგრამას.

რას ნიშნავს ქულების გათანაბრება?

გამოცდა თითოეულ საგანში რამდენიმე სესიად მიმდინარეობს, რაც განაპირობებს საგამოცდო ტესტების სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების აუცილებლობას. შესაძლოა, კონკრეტული საგნის ტესტის სხვადასხვა ვარიანტი სირთულის თვალსაზრისით უმნიშვნელოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამიტომ აბიტურიენტებისათვის თანაბარი საკონკურსო პირობების შესაქმნელად გამოიყენება ქულების გათანაბრება (დეტალური ინფორმაცია გამოქვეყნდება ვებგვერდზე www.naec.ge)

სად შეიტყობენ აბიტურიენტები ინფორმაციას ჩარიცხვებისა და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების შესახებ?

აბიტურიენტები ინფორმაციას ჩარიცხვებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ შეიტყობენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge), ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინებებით.

საბოლოო შედეგები

სად და როდის გამოცხადდება ინფორმაცია აბიტურიენტის მიერ სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების შესახებ?

სააპელაციო საბჭოს მიერ აბიტურიენტთა საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოაქვეყნებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს. შედეგების გაცნობა შესაძლებელი იქნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

როგორ ხდება ჩარიცხვა კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე?

კონკრეტულ პროგრამაზე ჩასარიცხ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ამ პროგრამაზე (გაზრდილი

ზღვარი, თუ სასწავლებელმა გაზარდა კომპეტენციის ზღვარი) სწავლის გასაგრძელებლად სავალდებულო გამოცდებში (სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი გამოცდა ან/და ტური). მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის წესი განისაზღვრება ქულების გათანაბრების საფუძველზე, რაც ტესტის ვარიანტების სირთულეებს შორის შესაძლო სხვაობას ითვალისწინებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ პროგრამების მიხედვით, მიღებული საკონკურსო ქულის შესაბამისად.

როგორ განისაზღვრება მითითებული პროგრამებიდან რომელზე უნდა ჩარიცხოს აბიტურიენტი?

თუ აბიტურიენტის მიერ მიღებული საკონკურსო ქულები საკმარისი არ აღმოჩნდა მის მიერ მითითებული რეიტინგული ჩამონათვალის პირველ პროგრამაზე ჩასარიცხად, მაშინ განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხი და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ჩარიცხა რეიტინგული ჩამონათვალის რომელიმე პროგრამაზე, მაშინ რეიტინგულ სიაში მითითებულ მომდევნო პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხი აღარ განიხილება. კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკონკურსო ქულას, რომელიც გამოითვლება ყველა პროგრამისათვის ცალ-ცალკე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კონკრეტული პროგრამისთვის დადგენილი კოეფიციენტების შესაბამისად) და არა იმას, თუ რა ადგილი მიანიჭა აბიტურიენტმა თავის რეიტინგულ ჩამონათვალში ამ კონკრეტულ პროგრამას.

როდის გამოქვეყნდება ჩარიცხულთა სია?

ჩარიცხვების განხორციელების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს იმ აბიტურიენტთა სიას, რომლებმაც სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ჩარიცხულთა სიაში მითითებული იქნება ინფორმაცია სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების შესახებ. საბოლოო სია იმ აბიტურიენტებისა, რომლებმაც მოიპოვეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება, განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე და დაიგზავნება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დაგზავნილი სიისა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის (ან მასთან გათანაბრებული საბუთის) აგრეთვე, სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, აბიტურიენტი აფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის უმაღლეს სასწავლებელთან. ხელშეკრულების გაფორმებით სრულდება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის პროცესი.

აბიტურიენტის უფლება-მოვალეობები:

- აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათში აღნიშნულ მისამართზე ბარათში მითითებული განრიგის მიხედვით და გაიაროს რეგისტრაცია. **რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება;**
- რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე;
- აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი;
- აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა წყლის (პლასტმასის ბოთლისა), პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა;

- აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს აბიტურიენტის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ წესებს.

გამოცდის დაწყებამდე მეთვალყურე აბიტურიენტებს გააცნობს წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან ტესტირების პროცესში:

- სამუშაო მაგიდებთან დასხედით იმ ნომრების მიხედვით, რომლებიც რეგისტრაციის დროს დაგირიგდათ;
- არ დააწყოთ მერხზე არც ერთი ნივთი პირადობის მოწმობის, კალმის (რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ), ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის გარდა;
- სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
- ვალდებული ხართ ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით, სათითაოდ გადაფურცლოთ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი კურატორთან ან მეთვალყურესთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი დაუზიანებელია, რის შემდეგაც სექტორის უწყისში მოაწერთ ხელს დაუზიანებელი ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის მიღების თაობაზე;
- თუ ხარვეზიანი ტესტის რვეული ან პასუხების ფურცელი შეგხვდათ, მას ახლით შეგიცვლიან;
- პასუხების ფურცელზე კურატორის ან მეთვალყურის მიერ დაკრული შტრიხკოდის ნომერს საკუთარი ხელით გადაიტანთ სექტორის უწყისის შესაბამის გრაფაში;
- არ შეიძლება შტრიხკოდის საწერი კალმით გაფერადება, გადაკეცვა ან სხვაგვარი დაზიანება! ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;
- ტესტზე მუშაობის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგება (პასუხების ფურცლებზე დაიკვრება შტრიხკოდები) და დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ამის თაობაზე თქვენ გაცნობებთ გამოცდის კურატორი ან მეთვალყურე;
- პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ კალმით, რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ;
- იმ შემთხვევაში, თუ პასუხების ფურცლის შევსებისას გამოიყენებთ განსხვავებულ კალამს, მიიღებთ გაფრთხილებას და ჩამოგერთმევათ პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადმოგეცემთ პასუხების სათადარიგო ფურცელი, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
- პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოიყენებთ სხვა კალამს, არ გასწორდება;
- თუ დროზე ადრე დაიწყებთ ტესტზე მუშაობას, მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
- კურატორს ან მეთვალყურეს შეგიძლიათ მიმართოთ მხოლოდ ხელის აწევით;
- აკრძალულია კურატორის ან მეთვალყურისათვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. ამ დროს მიიღებთ გაფრთხილებას, დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
- აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
- ერთმანეთის დახმარების მცდელობის ან სხვა პირისაგან დახმარების მიღების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას; მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

- დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
 - აკრძალულია ლექსიკონის, დამხმარე მასალის, ე.წ. „შპარგალკის“, მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო გამოცდაზე შეტანა. მათი აღმოჩენის შემთხვევაში (თუნდაც ელექტრონული ხელსაწყო გამორთული იყოს), დაუყოვნებლივ მოიხსნებით გამოცდიდან;
 - გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა;
 - დრო არავის დაემატება (გარდა იმ აბიტურიენტებისა, რომელთაც აქვთ სამედიცინო ცნობით დადასტურებული ფუნქციონალური დარღვევები);
 - თუ დროზე ადრე დაასრულებთ ტესტზე მუშაობასა და პასუხების ფურცლის შევსებას, ხელის აწევით მიმართავთ მეთვალყურეს ან კურატორს, რომელსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ ტესტის რვეულს ან პასუხების ფურცელს და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებით საგამოცდო სექტორს;
 - არ გასწორდება იმ აბიტურიენტის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ დახურავს ტესტს;
 - არ გასწორდება იმ აბიტურიენტის ნაშრომი, რომელიც პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს! ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;
 - ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში;
 - წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
 - გახსოვდეთ, პასუხების ფურცლის გაკეცვა არ შეიძლება!
 - გაკეცილი პასუხების ფურცელი არ გასწორდება;
- თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთ გამოცდის კურატორის, მეთვალყურის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან თქვენი მოხსნის შესახებ.
- თუ აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ დაირღვა საგამოცდო პროცედურით დადგენილი წესი, მას შეუძლია ამ კონკრეტული საგამოცდო დღის 21:00 საათამდე შეიტანოს განცხადება სააპელაციო საბჭოს სახელზე, იმ საგამოცდო ცენტრთან გახსნილ სპეციალურ პუნქტში, სადაც ჩააბარა გამოცდა.

გისურვებთ წარმატებას!

საკონტაქტო ინფორმაცია:

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი: 2 47 33 33.

ვებგვერდი: www.naec.ge

ელექტრონული ფოსტა: pr@naec.ge

* ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (საგანმანათლებლო პროგრამები), რომელთა აკრედიტაციის პროცესი დაწყებულია და დასრულდება რეგისტრაციის დამთავრებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. ასეთი სასწავლებლების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება ვებგვერდზე www.naec.ge

**** სახელმწიფო წელსაც დააფინანსებს ბაკალავრიატის გარკვეულ მიმართულებებს (შესაბამის პროგრამებზე ჩარიცხულები ისწავლიან უფასოდ). სასწავლებლების და მიმართულებების (პროგრამების) ნუსხა გამოქვეყნდება დამტკიცებისთანავე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (www.mes.gov.ge) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (www.naec.ge) ვებგვერდებზე.**

001 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N1, 0179

ტელეფონი: 2253971

ვებგვერდი: www.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა: rector@tsu.ge

chancellery@tsu.ge

ინფორმაცია აბიტურიენტებისათვის:

ინფორმაცია დაფინანსების ცვლილების შესახებ:

ფაკულტეტი:	00101	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამა:	0010101	ქართული ფილოლოგია
		კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი

აკრედიტებული	სწავლების ენა	დაფინანსება	კრედიტების რ-ბა	წლიური გადასახადი	ადგილების რ-ბა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	პრიორიტეტები
დიახ	ქართული ენა	ფინანსდება	240	2250	200	4	3	3		2		2						1-2-3-5/7
ადგილების ქვოტა არჩევითი საგნების მიხედვით										50		150						
კომპეტენციის ზღვარი						40%+1	30%+1	40%+1		40%+1		40%+1						
შეზღუდვები																		

პროგრამა:	0010102	ისტორია
		კვალიფიკაცია: ისტორიის ბაკალავრი

აკრედიტებული	სწავლების ენა	დაფინანსება	კრედიტების რ-ბა	წლიური გადასახადი	ადგილების რ-ბა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	პრიორიტეტები
დიახ	ქართული ენა	ფინანსდება	240	2250	150	4	3	3		2								1-2-3-5
ადგილების ქვოტა არჩევითი საგნების მიხედვით										150								
კომპეტენციის ზღვარი						40%+1	30%+1	40%+1		40%+1								
შეზღუდვები																		

პროგრამა:	0010103	არქეოლოგია									კვალიფიკაცია: არქეოლოგიის ბაკალავრი							
						1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
აკრედიტებული	სწავლების ენა	დაფინანსება	კრედიტების რ-ბა	წლიური გადასახადი	ადგილების რ-ბა	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	ხელოვნება	შემოქმ. ტური	პრიორიტეტები
დაიხ	ქართული ენა	ფინანსდება	240	2250	25	4	3	3		2								1-2-3-5
ადგილების ქვოტა არჩევითი საგნების მიხედვით										25								
კომპეტენციის ზღვარი						40%+1	30%+1	40%+1		40%+1								
შეზღუდვები																		

პროგრამა:	0010104	ფილოსოფია									კვალიფიკაცია: ფილოსოფიის ბაკალავრი							
						1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
